თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. თერჯოლა 13.06.2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. რამინი რობაქიძე, 2. კობა კირკიტაძე, 3. ნინო მახათაძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2824116268, 10.06.2024 წ.);

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282416249, 10.06.2024 წ.).

მომხს. : თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13

დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა და შეადგენს 30869.7 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 160.0 ათასი ლარით. (გრანტი საკუთარი შემოსავლები).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 160.0 ათასი ლარით (გრანტი ფონდებიდან გამოყოფილი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 60.0 ათასი ლარით. მ/შორის:

მერიის დაფინანსება შემცირდა 60.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 60.0 ათასი ლარით. მ/შორის:

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 60.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ვერულაშვილმა, დავით გოგბერაშვილმა, მანუჩარ ფანჩულიძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი -2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 200,0 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 30869,9 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 200,0 ათასი ლარით (გარნტი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 200,0 ათასი ლარით.

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 200,0 ათასი ლარით: სოფ. ნახშირღელეში ხორხის უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 200,0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი